



## თვითმმართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტი

კარტიჯების შესყიდვა, დამუხტვის შესყიდვა  
გამარტივებული ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე  
საშუალებით

### სატენდერო დოკუმენტაცია

დაფინანსების წყარო - 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი

კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი  
30125100 - ტონერიანი კარტიჯები

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო  
შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად

2017 წელი  
ქ. თელავი

## სარჩევი

1. ტექნიკური დოკუმენტაცია .....	4
2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი .....	6
3. დანართი N1 - ფასების ცხრილი .....	10
4. დანართი N2 - რეკვიზიტები .....	11

## ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის, ხოლო ასლების წარმოდგენა კი ხდება სისტემის გამოყენების საშუალებით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სატენდერო პროცედურების განხორციელების ეტაპზე სუბკონტრაქტორ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული უნდა იქნას პრეტენდენტსა და სუბკონტრაქტორ(ებ)ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებ(ებ)ი.

1.6 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.7 პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

## 1. ტექნიკური დოკუმენტაცია

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

### 1.1 საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

არ მოეთხოვება

### 1.2 ტექნიკური დოკუმენტაცია

როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:

1.2.1 ფასების ცხრილი - **დანართი N1.**

1.2.2 რეკვიზიტები – **დანართი N2.**

1.3 პრეტენდენტი ვალდებულია მის მიერ ელექტრონულად წარმოდგენილი დოკუმენტაცია დედნის სახით წარმოადგინოს შემსყიდველ ორგანიზაციაში ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის მოთხოვნის შემთხვევაში.

1.4 პრეტენდენტის მიერ დოკუმენტაციის წარმოდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია მოახდინს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

### 1.5 ანგარიშსწორების პირობები

1.5.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

1.5.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში.

1.5.3 ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 15 დღის განმავლობაში.

1.5.4 შესაძლებელია ანგარიშსწორება განხორციელდეს მიმწოდებლისათვის ინდივიდუალურად ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად, ეტაპობრივად.

### 1.6 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადები:

1.6.1 საქონლის მიწოდების ადგილად განისაზღვრება ქ. თელავი, ერეკლე II გამზ. N16.

1.6.2 საქონლის მიწოდების სავალდებულო ვადა: ხელშეკრულების დადებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ეტაპობრივად. შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 2 (ორი) კალენდარულ დღეში.

### 1.7 საქონლის აღწერილობა და ტექნიკური პირობები:

1.7.1 საქონლის რაოდენობა და ტექნიკური მახასიათებლები იხილეთ ცხრილი N1-ში.

1.7.2 საქონელი უნდა იყოს ხარისხიანი და აკმაყოფილებდეს არსებულ სტანდარტებს. კარტრიჯები უნდა იყოს ახალი და შეფუთული ქარხნულად. დანართში მიმწოდებელმა უნდა მიუთითოს როგორც ფასები, ასევე მწარმოებელი ქვეყანა, მწარმოებელი ფირმა/მოდელი.

1.7.3 იმ შემთხვევაში თუ ფასების ცხრილით გათვალისწინებული საქონლის/მომსახურების რომელიმე პუნქტით გათვალისწინებული მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა ამოიწურა, შესაძლებელია ფასების ცხრილით გათვალისწინებული სხვა რომელიმე პუნქტით გათვალისწინებული საქონლის რაოდენობის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს ამოწურული საქონლის/მომსახურების რაოდენობა ერთეულის ფასების ცვლილების გარეშე.

1.7.4 ტექნიკური დოკუმენტაციის 1.7.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ცვლილება შესაძლებელია არსებული რაოდენობების  $\pm 20\%$ .

## 1.8 სხვა პირობები

1.8.1 მიმწოდებლის მიერ ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ხელმოწერილი და/ან ბეჭედ დასმული.

1.8.2 პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ინფორმაცია.

## 1.9 დამატებითი ინფორმაცია

1.9.1 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ საქონელზე აღმოჩენილი წუნის ან დეფექტის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 5 კალენდარულ დღეში უსასყიდლოდ (ასევე საკუთარი ტრანსპორტით) აღმოფხვრას ხარვეზი, ქარხნული დეფექტი და/ან წუნი.

1.9.2 კომისიის გადაწყვეტილებით შესაძლებელია პრეტენდენტს მოეთხოვოს ცხრილი N1-ით განსაზღვრული საქონლის ნიმუშების (თითო ეგზემპლარი) წარმოდგენა ოქმით გათვალისწინებულ ვადაში. ნიმუშები პრეტენდენტს დაუბრუნდება უკან გონივრულ ვადაში. მიმწოდებელთან ხელშეკრულება გაფორმდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ წარმოდგენილი ნიმუშები დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნას.

### 1.9.3

იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება უნდა განხორციელდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ანგარიშფაქტურით (ინვოისით).

## 2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შემდეგ. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ქ. თელავი

„-----“ „-----“ 2017 წ.

ერთის მხრივ თვითმართველი ქალაქი თელავის მუნიციპალიტეტი, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი“, წარმოდგენილი ----- სახით და მეორეს მხრივ -----, მისი დირექტორის -- ----- სახით, შემდგომში წოდებული „მიმწოდებელი“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის და გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შედეგის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

### 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

### 2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია: -----  
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი:

### 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ----- ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.4 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დასაშვებია მხოლოდ 10%-ის ოდენობით.



#### 4. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

##### 4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს „შემსყიდველს“ ხარისხიანი საქონელი და კეთილსინდისიერად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება.

ბ) დროულად განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული საგარანტიო პირობების დაცვა და სხვა ვალდებულებები.

დ) თავისი ხარჯით გამოასწოროს ყველა წუნდებული საქონელი საგარანტიო პერიოდის განმავლობაში (მიწოდებიდან არანაკლებ 6 თვე).

##### 4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) დროულად განიხილოს წამოჭრილი პრობლემები, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

ბ) გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება.

გ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

##### 4.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს გაწეული მიწოდებული საქონლის ღირებულების დროული და სრული ანაზღაურება.

ბ) მიმართოს წერილობითი შემსყიდველს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

##### 4.4 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი და შენიშვნები წარუდგინოს მიმწოდებელს წერილობითი ფორმით.

ბ) არ მიიღოს უხარისხო საქონელის და მოსთხოვოს მიმწოდებელს მისი შეცვლა/აღმოფხვრა.

#### 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

5.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი.

5.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, ინსპექტირების ჯგუფი, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული შესყიდვის ობიექტი, მიმწოდებელი ვალდებულია 5 (ხუთი) დღეში გამოასწოროს წუნი, იმ შემთხვევაში თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული წუნდებული საქონლის ღირებულება.

#### 6. მიღება-ჩაბარების წესი

საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

#### 7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

#### 8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუფხავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო

ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმდებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

## 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების 13.2 ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.2 წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.2%-ის ოდენობით.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## 11. დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ან შემსყიდველის გადაწყვეტილებით.

## 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრამდე.

13.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადაა მოთხოვნიდან 2 (ორი) კალენდარული დღე, ეტაპობრივად, 2017 წლის 31 დეკემბრამდე.



#### 14. ფორს-მაჟორი

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

#### 15. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

#### 16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

3. ფასების ცხრილი

N	პრინტერის, ქსეროქსის ფირმა/მოდელი	კარტრიჯების საჭირო რაოდენობა	ერთი კარტრიჯის ფასი	სულ კარტრიჯის ფასი	კარტრიჯის სამჯერ აღდგენის/დამუხტვის ფასი	სულ კარტრიჯის აღდგენის (ერთ კარტრიჯზე სამჯერ) ფასი	სულ ფასი	კარტრიჯის დასახელება, მწარმოებელი ქვეყნის, ფირმის დასახელება
1	2	3	4	5 (3*4)	6	7 (3*6)	8 (5+7)	9
1	კარტრიჯი HPLJ1010/1020/M1005/ CanonMF4018/LBP2900 Q2612 FX10/9 303/703	10						
2	კარტრიჯი HP LJ PRO MFP M225/125/127/201 283A	14						
3	კარტრიჯი HP LJ M1120MFP/M1522/1505 /P1005/P1102/M1132/121 2nf/LBP6000 CB435/CB436/CE285A/ CRG725	36						
4	კარტრიჯი HPLJP1536/1560/1606C E278/CanonMF4410/457 0 CRG728/328	6						
5	Lexmark CS510de	4						
6	EPSON LIIO C13T66424A (Cyan), C13T66444A (Yellow), CI 3T66434A (Magenta), C13T66414A (Black), 70ml	4						
		74						

4. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

მომსახურე ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

ხელმოწერა/ ბეჭედი -----

თარიღი -----